აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №22

2019 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 1

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №3 დადგენილება.

მუხლი 3

„ნორმატიული აქტების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 4 მაისის №5 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 11 ოქტომბრიდან.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **რუსლან აბაშიძე**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მისთვის მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს. სამინისტროს უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით. სამინისტროს უფლება არა აქვს, სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობანი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (შემდგომში – მთავრობა) წინაშე და ასრულებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ ამოცანებს.

4[1]. სამინისტრო შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში.

5. სამინისტროს აქვს დებულება, ანგარიში ხაზინაში და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

6. სამინისტრო ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

7. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქ. № 15ა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 30.12.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.

მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები

1. სამინისტროს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა; საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა; გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა; ვაჭრობის, წარმოებისა და მომსახურების, ფოსტის, ტრანსპორტის, ლოჯისტიკის და სხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა.

2. სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო -საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება;

ბ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მომზადება და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მთავრობისათვის განსახილველად წარდგენა;

გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კოორდინაცია;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება;

ე) ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ინვესტიციების, გრანტების მოზიდვის და

საერთაშორისო დახმარებების მიღების მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სარგებლობაში გადმოცემული უძრავი ქონების შემდგომი გამოყენების პოლიტიკის განსაზღვრა;

თ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადმოცემული/საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვა;

ი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) ეკონომიკის დარგების განვითარებისადმი მიმართული პროექტების და პროგრამების ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ლ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მიზნობრივი პროექტების შემუშავებაში აქტიური ჩართულობა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საერთშორისო ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ნ) მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინირებული საქმიანობით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნებისა და გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესების, მცენარეთა დაცვისა და ცხოველთა დაავადებასთან ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დახმარების უზრუნველსაყოფად ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირების ხელშეწყობა;

პ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ასევე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი, განზოგადება;

ჟ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების პროექტების წინასწარი შეფასება, სტატისტიკური მიზნებისათვის დამუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი;

რ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დასაქმების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

ს) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების ხელშეწყობა;

ტ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების განხორციელება.

3. სამინისტრო უფლებამოსილია, ამ მუხლით დადგენილი საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს მიკუთვნებული საკითხების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოს ამ დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების, აგრეთვე სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეშვეობით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 3. სამინისტროს სისტემა

1. სამინისტროს სისტემას შეადგენს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები (შემდგომში – სტრუქტურული ქვედანაყოფი) და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (შემდგომში – სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტები).

2. სამინისტროს სისტემაში შეიძლება იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს ან/და დამფუძნებლის უფლებამოსილებასაც გახორციელებს სამინისტრო.

3. სამინისტროს მართვაში შეიძლება იყოს მეწარმე სუბიექტები (შემდგომში – სამინისტროს მართვაში შემავალი სუბიექტები), რომელთა შექმნა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.

მუხლი 4. სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

ა) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;

ბ) ინსპექტირების სამმართველო;

გ) საქმისწარმოების სამმართველო;

დ) სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო.

2. საბიუჯეტო დეპარტამენტი:

ა) კონსოლიდირებული ბიუჯეტის სამმართველო;

ბ) შემოსავლების მობილიზების სამმართველო.

3. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი:

ა) სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო;

ბ) დარგობრივი პოლიტიკის სამმართველო;

გ) საბიუჯეტო პროგრამების შესრულების კონტროლის სამმართველო.

4. იურიდიული დეპარტამენტი.

5. სახაზინო დეპარტამენტი.

6. საფინანსო დეპარტამენტი:

ა) საფინანსო სამმართველო;

ბ) მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველო.

7. შესყიდვების დეპარტამენტი:

ა) შესყიდვებისა და აუქციონის მართვის სამმართველო.

8. ქონებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტი:

ა) ქონების მართვის სამმართველო;

ბ) პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების სამმართველო.

9. შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 2 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 04.07.2024წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 5. (ამოღებულია)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.

მუხლი 6. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლსდაქვემდებარებული საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლსდაქვემდებარებული საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებია:

ა) სსიპ – აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა;

ბ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

გ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

დ)ა(ა)იპ –საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №28 - ვებგვერდი, 03.09.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 22 მაისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 27.05.2024წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 11 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 13.12.2024წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 7. სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზება და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში, ხელმძღვანელობს სამინისტროს, იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე და ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტებისა და სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტების საქმიანობის წარმართვასა და კოორდინაციას.

2. მინისტრს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

3. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

გ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობაზე;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოადგილეს, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს. დებს ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებებს. დასანიშნად წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრის მოადგილეების, ხოლო მთავრობას – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის კანდიდატურებს;

ე) ითანხმებს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საშტატო ნუსხას;

ვ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებსა და სტრუქტურას, ხოლო სამინისტროს დებულებასა და სტრუქტურას, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებასა და სტრუქტურას დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობას;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამინისტროს საქმიანობის შესახებ;

თ) მონაწილეობას იღებს მთავრობის სხდომების მუშაობაში;

ი) წარმოადგენს სამინისტროს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

კ) ამტკიცებს სამინისტროს შინაგანაწესს;

ლ) ამტკიცებს სამინისტროში სტაჟირების გავლის წესს;

მ) უფლებამოსილია, სამინისტროს თანამდებობის პირთა საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელება დააკისროს ერთ-ერთ მოადგილეს;

ნ) იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

ო) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს და პასუხისმგებელია მათი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის.

4. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. მინისტრის მოადგილეთა უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების საქმიანობას მინისტრის არყოფნისას.

6. მინისტრი თავისი ბრძანებით განსაზღვრავს მოადგილეთა ფუნქციებს, აგრეთვე იმას, თუ სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული რომელი სუბიექტების საქმიანობას გაუწევენ ისინი კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას.

7. მინისტრი უფლებამოსილია, თავისი ბრძანებით შექმნას სათათბირო ორგანოები – კომისიები, საბჭოები და სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობა, ამოცანები და მიზნები, საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 25.12.2024წ.

მუხლი 8. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი

1. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება მინისტრს ან კურატორ მოადგილეს.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობას, წყვეტს სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს და პასუხისმგებელია სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეთა შორის და აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) აკონტროლებს სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;

დ) ხელს აწერს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს ან ახორციელებს მათ ვიზირებას;

ე) წარმოადგენს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობების შესრულებისას;

ვ) მინისტრს ან კურატორ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანათა შესასრულებლად;

ი) ასრულებს ამ დებულებითა და სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით განსაზღვრულ ამოცანებს, აგრეთვე მინისტრის ან/და კურატორი მოადგილის სამსახურებრივ დავალებებს.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე (მოადგილეები).

მუხლი 9. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა;

გ) ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება;

დ) სამინისტროს საკადრო საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ე) სამინისტროს ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა;

ვ)საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

ზ) სამინისტროს შრომის შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

თ) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით ინსპექტირების ჩატარება, ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მინისტრისთვის წარდგენა; მოქმედი კანონმდებლობითა და დებულებით დადგენილ შემთხვევებში და წესით დისციპლინური წარმოების ჩატარება;

ი) სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა მიერ ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესებისა და დისციპლინის დაცვის, აგრეთვე, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;

კ) საქმისწარმოების ორგანიზება და საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება;

ლ) საარქივო საქმიანობის წარმართვა;

მ) კომუნიკაციის სტრატეგიის ჩამოყალიბება, მისი განხორციელება და პერიოდული განახლება; სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

ნ) პრესკონფერენციების, ინტერვიუების, ბრიფინგების, კონფერენციების, ოფიციალური მიღებებისა და სხვა სახის შეხვედრების ორგანიზება;

ო) პრესისა და მედიის მიმოხილვისა და ანალიზის მომზადება;

პ) სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება/განთავსება;

ჟ) მედიასაშუალებებთან და საზოგადოებასთან (მათ შორის, ხელისუფლება, სამოქალაქო და ბიზნესსექტორი) სამინისტროს ურთიერთობის წარმართვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 2 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 04.07.2024წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 10. საბიუჯეტო დეპარტამენტი

საბიუჯეტო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) „აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის რეპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მომზადება და ამ მიზნით საჭირო სამუშაოთა ორგანიზება და შესრულება, ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების პროექტებისა და საბიუჯეტო განაცხადების შესწავლა, კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო პროცესისთვის დადგენილ მოთხოვნებთან და ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებთან მიმართებით;

გ) დადგენილი წესის შესაბამისად, სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი

გრანტების ხარჯთაღრიცხვის განხილვა, დადასტურება და სახაზინო სამსახურზე დაშვება;

დ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ვადებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) შესრულების ანგარიშის მიღება-დამუშავება, მომზადება და წარდგენა შესაბამის ორგანოში;

ე) ფინანსური სახსრების მართვა, დარგების საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენებისათვის ყოველწლიური რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითად მონაცემთა ჩამოყალიბება, დამტკიცებული ყოველწლიური ბიუჯეტის მიხედვით განწერის ფორმირება და დადგენილი წესის შესაბამისად, მასში ცვლილებების შეტანა;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებებისა და შემოსულობების პარამეტრების კვარტალების მიხედვით განწერის მომზადება.

მუხლი 11. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი:

ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, არსებული პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო წინადადებების მომზადება;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებების მიერ, სამინისტროს მიერ წინასწარ დამტკიცებული ფორმებისა და პროცედურების მიხედვით წარმოდგენილი პროგრამების არსობრივი და დაწესებულების მიზნებთან და ფუნქციებთან შესაბამისობის ანალიზი. ასევე, მათი განხორციელების პროცესის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზი;

გ) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;

დ) ეკონომიკური, ბიზნესის ხელშეწყობის, გარემოსდაცვის პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა კერძო სექტორთან, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებთან;

ე) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება;

ვ) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების სტატისტიკური მიზნებისათვის დამუშავება, მათი წინასწარი შეფასება/ანალიზი, პრიორიტეტიზაცია და რეკომენდაციების შემუშავება.

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიზნობრივი პროგრამების (ქვეპროგრამების) და პროექტების შესრულების მონიტორინგი და არსებული მდგომარეობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 მარტის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.03.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 2 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 04.07.2024წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 12. (ამოღებულია)

მუხლი 13. იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს სისტემაში სამართალშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სამინისტროს სისტემაში შემავალი და სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა და მათი საქმიანობის საერთო კოორდინაცია;

ბ) სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა და სამართლებრივი დასკვნების მომზადება ან/და ვიზირება;

გ) დამოუკიდებლად ან სამინისტროს სისტემაში შემავალ სუბიექტებთან ერთად სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების თაობაზე წინადადებათა მომზადება;

დ) სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ შემუშავებული პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ე) სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, საგამოძიებო ორგანოებში, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და ინტერესების დაცვა;

ვ) სამინისტროს მონაწილეობით განხილულ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით, აგრეთვე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადება და რეკომენდაციების წარდგენა სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტებისათვის.

ზ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

თ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 14. (ამოღებულია).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.

მუხლი 15. სახაზინო დეპარტამენტი

სახაზინო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების აღრიცხვა, ანგარიშგება;

ბ) ხაზინის მომსახურებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ხაზინის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული საგადამხდელო დოკუმენტების მიღება და დამუშავება

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ხაზინის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებზე გადასახდელების გაცემის შეზღუდვა;

ე) დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობის მობილიზების მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი, სახაზინო ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსება;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი, კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვა, მართვა და ანგარიშგება;

ზ) ხაზინის მომსახურებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვა და ოპერატიული ანგარიშგება;

თ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ დადგენილ ვადებში ფინანსური ანგარიშგებისა და დანართი ფორმების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ამ მოთხოვნის შესრულებამდე ყველა სახის დაფინანსების შეჩერება;

ი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტებით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების მომზადება;

კ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ნაერთი ფინანსური ანგარიშგებების და დანართი ფორმების მიღება, შემოწმება, ანალიზი და ანგარიშის შედგენისას დაშვებული არსებითი შეცდომების და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირება;

ლ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ დაკავებული და რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხული საშემოსავლო გადასახადის სისწორის შემოწმება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 16. საფინანსო დეპარტამენტი

საფინანსო დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონის საფუძველზე გამოყოფილი ფულადი სახსრების მართვა;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანა, დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განაწილება და ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მომზადება სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად;

დ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

ე) (ამოღებულია - 17.02.21 №9);

ვ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

ზ) (ამოღებულია - 13.03.2025, №13);

თ) სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამინისტროს მოსამსახურეებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 2 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 04.07.2024წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 16[1]. შესყიდვების დეპარტამენტი

შესყიდვების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში, მასში ცვლილების განხორციელება;

გ) შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული, სამინისტროს სახელით გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და მათში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტების მომზადება;

დ) სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი;

ე) სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების საერთო კოორდინაცია, შესყიდვების განხორციელებისას ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სატენდერო პროცედურების წარმართვა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსის პროცედურების წარმართვა;

თ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და რისკების შემცირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და აღსრულება;

ი) კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ბაზის სრულყოფის მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა.

კ) სააუქციონო პროცედურების წარმართვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 16[2]. ქონებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტი

ქონებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა/განკარგვა/სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე წინადადებების მომზადება;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი

ნივთის აუქციონის, მათ შორის, ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება/რეალიზაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე წინადადებების მომზადება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის აუქციონის წესით განკარგვის მიზნით წარდგენა;

გ) სახელმწიფო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრისა და წარმართვის თაობაზე წინადადებების მომზადება;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, მათ შორის, აქციებისა და წილების, აუქციონის/პირდაპირი ფორმით, მართვის უფლებით გადაცემის ინიციირება და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ე) სააქციო საზოგადოებების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და სარგებლობის უფლებით გადმოცემული უძრავი ქონების მიზნობრივად გამოყენების საკითხის პრიორიტეტიზაცია, იდენტიფიკაცია, წინადადებების მომზადება სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციით;

ზ) აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ეკონომიკური ინტეგრაციის, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის მიზნით, შესაბამისი ეკონომიკური პროგრამების, ქვეპროგრამებისა და პროექტების დაგეგმარება, შემუშავება და განხორციელება, მათ შორის აგრარული მიმართულებით;

თ) აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთათვის შემუშავებული პროგრამების, ქვეპროგრამებისა და პროექტების განხორციელების წესისა და ეტაპების განსაზღვრა; მათი სათანადო მართვა და მართვის ყველა ეტაპის რეგულარული მონიტორინგი;

ი) აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერების მიმართულებით შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2025 წ.

მუხლი 17. შიდა აუდიტის დეპარტამენტი

შიდა აუდიტის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის წლიური და სტრატეგიული გეგმების შემუშავება;

დ)სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, წლიური გეგმის მიხედვით ფინანსური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, სისტემური ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარება;

ე) შიდა აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი;

ვ) სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 22.02.2021 წ.

მუხლი 18. დასკვნითი დებულება

სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.